საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი№41

ქ.თბილისი 05.07.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი ამილახვარი - შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე;

სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი, სხდომის მდივანი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,

სერგო ჭელიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

დენიტა ბიბილეიშვილი -ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

თეა ნადირაძე- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ქეთევან ინანაშვილი- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ანი წამალაშვილი -ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის, სააპელაციო და პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების სხდომებზე აუდიო ჩაწერაზე პასუხისმგებელი პირი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
ეკა დევიძე - „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
არჩილ ჯანგირასვილი - აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
თინათინ მოსიაშვილი - „ტურიზმის“საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ეკა გეგეშიძე - ბიზნესისა და ადმინიდტრირების მეცნიერებების სკოლის პროფესორი;
კონსტანტინე თოფურია - რექტორი;

შპს კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენელი / წარმომადგენლები:
ნუგზარ სხირტლაძე - ვიცე - პრეზიდენტი სასწავლო დარგში;
დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
ნინო კალანდაძე - კავკასიის ტურიზმის სკოლის დეკანი;
დიკო კოპალეიშვილი - კავკასიის ტურიზმის სკოლის პროგრამის დირექტორი;
თემურ ხუცშვილი - „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ლევან წიქარიშვილი - „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ეკა აკობია - კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი, „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ემირ ეთერია - „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ლევან მესხირაძე - ლექტორი;
დავით ნატროშვილი - კავკასიის ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიხერებეთა სკოლის დეკანი;
გურანდა ჭელიძე - ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
შოთა ნიჟარაძე - კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის დეკანი;
გურამ ლეჟავა - ვიცე-პრეზიდენტი მატერიალუ7რი რესირსების დარგში, ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიისნ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
დავით სიხარულიძე
რუსუდან სეთურიძე
ნატალია კვაჭანტირაძე
ნოდარ ხერხეულიძე
ნინო დავითაშვილი
მარიამ ბურდილაძე
ერეკლე ასტახიშვილი
თამარ შიოშვილი
ნანა მაჭარაშვილი
ირაკლი ნოდია
ნანი არაბული
ვალერიან გობრონიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:30 საათზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა. სხდომის მდივნის ფუნქცია, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს სხდომის თავჯდომარის გადაწყვეტილებით, დაეკისრა საბჭოს წევრ - სალომე თოთიბაძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ; ქეთევან ქოქრაშვილმა, საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ევროპისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა დამსწრე პირთა მხრიდან არ განხორციელებულა, შესაბამისდ საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ტურიზმის ბაკალავრი 1120
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ წარმოადგინა ექსპერტთა დასკვნა. განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოს უნივერსიტეტში განხორციელდა 2019 წლის 13 ივნისს. მიზანი იყო „ტურიზმის" საბაკალავრო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. მათი შეფასებით პირველი, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეესაბამისობაში იყო სტანდარტებთან, ხოლო მეორე და მესამე სტანდარტი მეტწილად შესაბამისი. ასევე, წარმოადგინა ვიზიტის დროს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის ძირითად ბლოკში ისწავლებოდეს კვლევის მეთოდები, რაც სტუდენტს გაუადვილებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას;
2. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის დებულებაში განისაზღვროს სტუდენტების რაოდენობის ზღვარი, რომელსაც უხელმძღვანელებს აკადემიური პერსონალი საბაკალვრო ნაშრომების მომზადებისას;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში ქულების გადანაწილების სტრუქტურის დახვეწა;
4. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში ჩართვისა და კონფერენციების ორგანიზების მიმართულებით;
5. პროგრამის მუდმივი განვითარების პროცესში რეკომენდებულია დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება.

დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიზიარა მოსაზრება, რომ მიუხედავად საბაკალავრო ნაშრომი არჩევითობისა, დამატებულიყო კვლევის მეთოდები. ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, ბევრი საერთაშორისო პროექტი და კონფერენცია მიმდინარეობდა, თუმცა ტურიზმთან მიმართებით სამომავლოდ იგეგმებოდა ჩართულობის უფრო მეტად გაფართოება. პროგრამაზე მუშაობის დაწყების პროცესში ჩართული იყვნენ პროგრამის სტუდენტები და დამსაქმებლები. ასევე, აღსანიშნავი იყო, რომ ის აკადემიური პერსონალი და მოწვეული პერსონალი, რომლებიც სასწავლო პროცესს უზრუნველყოფდნენ იმავდროულად გახლდნენ პრაქტიკოსები, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომელთაც საკუთარი წვლილი შეჰქონდათ იმაში, რომ სტუდენტები დაესაქმებინათ, პრაქტიკაზე წაეყვანათ და ა. შ.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა კითხვით მიმართა: საბაკალავრო ნაშრომის არჩევითობა მხოლოდ ამ პროგრამაზე იყო თუ ზოგადად ინსტიტუციაში?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროექტი იყო ძველი პროგრამის მიხედვით. ეს გახლდათ სავალდებულო და არა არჩევითი, თუმცა სტუდენტების მოთხოვნიდან გამომდინარე, პრაქტიკული კომპონენტი გაიზარდა. პრაქტიკები მიმდინარეობდა ძალიან ბევრ პარტნიორ ორგანიზაციასთან (ტურიზმის ეროვნული სააგენტო, დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო და ა. შ.) სტაჟირების კომპონენტი ხელს უწყობდა სტუდენტებს უფრო მეტი გამოცდილება მიეღოთ. გამომდინარე იქიდან, რომ კვალიფიკაცია იყო ტურიზმის ბაკალავრი და უშვებდნენ ისეთ პროფესიონალებს, რომლებიც პირველ და შუალედურ მენეჯერულ საფეხურზე საქმდებოდნენ. საბაკალავრო ნაშრომს 4 სტუდენტი ასრულებდა ჯგუფურად. ამ ეტაპზე საბაკალავრო ნაშრომს ასრულებდა ერთი სტუდენტი და ეს იყო არჩევითი.

ხარისხის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ეს იყო არჩევითი და რამდენიმე სტუდენტი აკეთებდა ერთად, შესაბამისად, 2 ჯგუფს, 7-8 სტუდენტს ჰყავდა ერთი ხელმძღვანელი. ეს ასე აღარ იქნებოდა და საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს ეყოლებოდა მაქსიმუმ 5 სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა თუ ჰქონდა სტატისტიკა რამდენი პროცენტი ირჩევდა საბაკალავრო ნაშრომს?

ხარისხის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ჯერჯერობით სტატისტიკა არ ჰქონდათ. გამომდინარე იქიდან, რომ ახლახან განხორციელდა ეს ცვლილება და საბაკალავრო ნაშრომი ახლა გახდა არჩევითი, სტატისტიკა ჯერ არ არსებობდა.

საბჭოს წევრი, სერგო ჭელიძე დაინტერესდა როგორი იყო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი, რა კეთდებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ სტუდენტებს პრაქტიკული უნარები განვითარებოდათ?

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ძველი პროგრამის მიხედვით პრაქტიკის კომპონენტი იყო 10 კრედიტიანი. მაშინ როდესაც თვითშეფასების ჯგუფი მუშაობდა პროგრამის შესახებ და ბაზრის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბაკალავრს პრაქტიკის კომპონენტი სჭირდებოდა. ეს ყველაფერი გათვალისწინებული და ასახული იყო კურიკულუმში. მოგეხსენებათ, მუზეუმი არ წარმოადგენს ისეთ დაწესებულებას, რომელიც მხოლოდ ერთი მიმართულებით წაიყვანს სტუდენტს. დეპარტამენტების მიხედვით მათ ჰყავდათ ტუტორები სტაჟირების პროფილის მიხედვით. სტუდენტები არა მხოლოდ თბილისიდან, არამედ რეგიონებიდანაც იყვნენ და ცხადია, ადმინისტრაცია ადგილზევე უზრუნველყოფდა მათ პრაქტიკებს. პროგრამის ერთ-ერთ უნივერსალურობას წარმოადგენდა ის, რომ ამ დონეზე პრაქტიკის კომპონენტი არც ერთ პროგრამას არ ჰქონდა. ძირითადი იყო 3 სავალდებულო სტაჟირება, 2 არჩევითი. თითოეული გახლდათ 5 კრედიტიანი.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა კითხვა დასვა პრაქტიკასთან დაკავშირებით, დაინტერესდა, როგორ ხორციელდება პრაქტიკა რეგიონების შემთხვევაში, ვინ უწევდა ამას ხელმძღვანელობას და სტუდენტებს ჰყავდათ თუ არა ხელმძღვანელი? ასევე, კითხვა დასვა საბაკალავრო ნაშრომებთან დაკავშირებით, რაიმე კრიტერიუმები ან წინაპირობები. რითი განსხვავდება საბაკალავრო პროექტი და საბაკალავრო ნაშრომი?

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ არსებობდა კონკრეტულად გაწერილი სასწავლო გეგმა. აუცილებელი იყო ტურისტულ სააგენტოში და სასტუმროში პრაქტიკა. გარდა ამისა მესამე იყო არჩევითი, რომელიც აღნიშნული ორგანიზაციებიდან უნდა აერჩიათ. ასევე,

ეყოლებოდათ კურატორი უნივერსიტეტიდან, რომელიც ადგილზე გაუწევდათ კურირებას. უნივერსიტეტს წარმომადგენლობითი საბჭოები ჰყავდა. ე. წ. საინფორმაციო ცენტრებს, უნივერსიტეტისვე რესურსი უწევდა ხელმძღვანელობას.

ხარისხის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ბიზნეს და ადმინისტრირების სკოლას ჰქონდა პრეცედენტული მიდგომა, რომ სტუდენტებს დაემუშავებინათ ჯგუფური პროექტები. ამ შემთხვევაში ჯგუფი გააკეთებდა ერთობლივ პრობლემის დასაბუთებას და რამდენი სტუდენტიცაა იმდენი საკვლევი ამოცანა, მიმართულება დამუშავდებოდა. გაწერილი იყო როგორც ინდივიდუალური შეფასებები 60%, ასევე ჯგუფური შეფასება 40%. ამავდროულად არის მოცულობის ფორმულა რამდენი ათასი სიტყვა უნდა იყოს. 10 000 სიტყვას დამატებული სტუდენტების რაოდენობა გადამრავლებული 1000 სიტყვაზე. ახლა არსებობდა ინდივიდუალური საბაკალავრო ნაშრომი, სადაც აღარ იყო დაკონკრეტებული რამდენი ამოცანა და მიზანი უნდა ყოფილიყო. თუმცა, პრაქტიკა ადასტურებდა, რომ ჯგუფური პროექტები ძალიან მაღალი დონის გამოდიოდა. ასე რომ, ტურიზმის მიმართულებით ისიც შეიძლება იყოს განხილული, რომ პროექტი არჩევითი საგნის სახით იქნას დამატებული, რომელიც გარდა კვლევისა და პრაქტიკის უნარებისა უფრო მეტ რამეს იძლეოდა. ნებაყოფლობითად განისაზღვრა ნაშრომი, რადგან ეს სტუდენტის თავისუფალ ნებაზე იყო დამოკიდებული პრაქტიკის განხრით წავიდოდა თუ კვლევის მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რამეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 16:57 საათზე.
სხდომა განახლდა: 17:07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქათველოს უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი

რეკომენდაციები:

1. პროგრამის ძირითად ბლოკში ისწავლებოდეს კვლევის მეთოდები, რაც სტუდენტს გაუადვილებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას;
2. საბაკალავრო ნაშრომის დებულებაში განისაზღვროს სტუდენტების რაოდენობის ზღვარი, რომელსაც უხელმძღვანელებს აკადემიური პერსონალი საბაკალვრო ნაშრომების მომზადებისას;
3. სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში ქულების გადანაწილების სტრუქტურის დახვეწა;
4. უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში ჩართვისა და კონფერენციების ორგანიზების მიმართულებით;
5. პროგრამის მუდმივი განვითარების პროცესში დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის:

საგანმანათლებლო პროგრამა - „ტურიზმი“

საფეხური - ბაკალავრი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ტურიზმის ბაკალავრი (1120)

მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ასევე დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 6 თვე.

2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდა თვითაცილება მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით. საკითხის განხილვაზე თვითაცილება საბჭოს არც ერთ წევრს არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ აკრექიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 12 ივნისს, მიზანი იყო პროგრამის შეფასება. პირველი სტანდარტი შესაბამისი იყო, მეორე და მესამე მეტწილად შესაბამისი, მეოთხე და მეხუთე შესაბამისი. ასევე, გააცნო ვიზიტის დროს გამოკვეთილი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკში დაემატოს ტურიზმის სპეციფიური საგნები;
2. რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსების ,,კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები“ და „ტურიზმის სტატისტიკა და კვლევის მეთოდები“ დახვეწა;
3. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის ხელშეწყობის გაძლიერება;
4. რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტების ჩართვის ხელშეწყობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სპეციფიურ საგნებთან დაკავშირებით სავალდებულო საგნების წილი არჩევით საგნებთან იყო 95/45, რომელსაც დაემატა 3 საგანი და გახდა 105/35. კერძოდ, დარგობრივი არჩევითი საგნებიდან „საინფორმაციო ტექნოლოგიები ტურიზმში“, „სატრანსპორტო ინდუსტრია“ და „მსოფლიოს ტურისტული რესურსები“ გადმოტანილ იქნა სავალდებულო საგანთა ნუსხაში. ბიზნესის საგნების ნაკლები აქცენტირება იყო მითითებული, „ბიზნეს კომუნიკაცია“ გადმოვიდა არჩევით საგნად. კვლევის მეთოდების საგნების დახვეწაც გათვალისწინებული იყო „კვლევის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს“ ეწოდა „კვლევის მეთოდები“. „ტურიზმის სტატისტიკას და კვლევის მეთოდებს“ ეწოდა „ტურიზმის სტატისტიკა“. პროფესორები მუშაობდნენ და ხდებოდა თემატიკის გამიჯვნა და სილაბუსების დახვეწა.

ხარისხის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობასთან დაკავშირებით მუშაობდნენ და დაუფინანსდებოდათ საქმიანობა და კონფერენციები. აფილირებასთან დაკავშირებით მუშაობდა ინსტიტუცია. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, ბევრ უნივერსიტეტთან იყო მემორანდუმი და კიდევ გაფორმდებოდა, თუმცა ამასთან დაკავშრებით კიდევ გაგრძელდებოდა მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის კუთხით დიდი შესაძლებლობა ჰქონდა უნივერსიტეტს, თუმცა ბევრჯერ წააწყდნენ ამ პრობლემას. რა ფაქტორები განაპირობებდნენ ამას, რატომ შეიძლება ყოფილიყო ეს პრობლემა გადაუჭრელი?

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ მონაწილეობის მიუღებლობაზე არ იყო საუბარი, არამედ იმაზე, რომ უფრო მეტი იყოს ჩართული. არსებობდა სტატისტიკა და მონაცემები, რომლის მიხედვით ზოგ პროგრამებში ბოლო პერიოდში დაფიქსირებული არ იყო აქტივობა, თუმცა სხვა პროგრამების მიმართ იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სხვა გარემოებაც არსებობდა, ძალიან მკაცრია შერჩევის წესი, შესაბამისად, არც ისე ბევრი იყო ისეთი სტუდენტი, რომელიც გადალახავდა ამ ეტაპებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რამდენიმე ობიექტური გარემოება არსებობდა. ცდილობენ, რომ მაქსიმალურად წაეხალისებინათ სტუდენტების მონაწილეობა, როგორც წესი ენებში საკმარისად იყვნენ მომზადებულნი, თუმცა უნივერსიტეტების მიერ მოთხოვნილი ენის კომპეტენცია გარე გამოცდებთან, შესაბამისად გარე ხარჯებთან იყო დაკავშირებული. საუბარი შეეხო ასევე, იმას, რომ შიდა საუნივერსიტეტო ხარჯებით მოხდა ეს ყველაფერი. ტურიზმის სტუდენტების გამოკითხვაში ეს რამდენჯერმე დაფიქსირდა. ასევე, სასწავლო პროცესში დატვირთვა და სავალდებულო ვადაში ჩატევა იყო ხშირად პრიორიტეტი.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ კარგი იყო უცხოენოვანი კომპონენტის მოცულობითობა, ხოლო ინტერესს იწვევდა შეთავაზებული სასწავლო კურსები. ამ პროგრამისთვის მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკული კომპონენტი, რა შესაძლებლობა ეძლეოდათ მათ, რომ პრაქტიკული უნარები განევითარებინათ?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობდა სტაჟირება ტურიზმში, რომელიც დამხმარე საგნად, არჩევითი სახით იყო წარმოდგენილი. ყველა სტუდენტს ჰქონდა შესაძლებლობა გაეარა რომელიმე კომპანიაში გადამზადება და მიეღოთ გარკვეული ცოდნა. ამის არჩევითობა გამომდინარეობდა იქიდან, რომ სტუდენტები, ძირითად შემთხვევებში, მესამე კურსიდან საქმდებოდნენ.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ მთავარი იყო, სტუდენტს გამოემუშავებინა პრაქტიკული უნარები. ექსპერტებმა დააზუსტონ, თუ არის პროგრამაში ისეთი კურსები, რომლითაც სტუდენტი პრაქტიკულ შედეგზე გადის. აღნიშნავს, რომ სავალდებულო უნდა იყოს პრაქტიკა?

ექსპერთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ ჩაატარა ინტერვიუები, არის რამდენიმე კურსი, რომლის ფარგლებში სტუდენტს ეძლეოდა საშუალება რამდენიმე გასვლითი პრაქტიკა განეხორციელებინა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გიორგი ამილახვარი დაინტერესდა, თუ როგორი იყო დასაქმების მაჩვენებელი?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასაქმების მაჩვენებელი პროფილით იყო 80%-მდე, შესაბამისად, ამ ეტაპზე პრაქტიკა ამ სახით იყო შეთავაზებული.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა მიუთითა, რომ თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ძალიან ცოტა კურსდამთავრებული ჰყავდათ. პირველი მიღებიდან იყო 32, ხოლო დაამთავრა 3-მა. საბჭოს წევრს აინტერესებდა ეს რამდენად რელევანტური იყო?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბოლო მაჩვენებელი იყო 2015 წლის მიღება, რომელიც წელს ამთავრებდა. ის სამი, რომელმაც დაამთავრა გახლდნენ მობილობით გადმოსულნი. რაც შეეხება შარშანდელს: 42 სტუდენტიდან 27 ამთავრებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა ურჩია, რომ „ტურიზმის სამართალისა და პოლიტიკის სილაბუსისთვის" გადაევლოთ თვალი. მთავარი ის იყო, რომ განხილული არ ჰქონდათ ისეთი საკითხები, როგორიცაა მომხმარებელთა უფლებები. ასევე, ძალიან მოძველებული იყო ლიტერატურა, მითითებული ჰქონდათ 1999 წელს გამოსული წიგნი. ურჩიათ გადაეხედათ და გადაეხალისებინათ. ყოველ შემთხვევაში, სამართლებრივი საკითხები იყო გაცილებით მეტი და გადაახალისებდა აღნიშნულ სილაბუსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით იმსჯელეს საგნის სილაბუსის ავტორთან. შესაბამისად, მოხდებოდა ამის გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა რაოდენობა დაახლოებით 300-მდე აღწევდა. მოწვეულ პროფესორთა რაოდენობა აჭარბებდა აკადემიური პერსონალის რაოდენობას, ხოლო აფილირებული პროფესორი მხოლოდ სამია. საბჭოს წევრი დაინტერესდა რატომ იყო ასე ცოტა? პროგრამის მასშტაბებიდან გამომდინარე პროგრამის მდგრადობას არ ექმნებოდა საფრთხე?

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა უპასუხა, რომ 300 სტუდენტი კი იყო, თუმცა მეორე წელს მათი რაოდენობა რადიკალურად შემცირდა. უნივერსიტეტის სტრატეგიაც გადაიხედა. უნივერსიტეტის ერთ-ერთ მიზნად გაწერილი იყო აფილირებული პროფესორების გაზრდა. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია აღარ იქნა აღნიშნული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იმდენად ახალი დარგი იყო ტურიზმი, რომ ფორმალური კრიტერიუმებით ასეთი პროფესორების მოძებნა სირთულეს წარმოადგენდა. გამომდინარე იქიდან, რომ არსებობდა პრაქტიკული კომპონენტით გაძლიერების შესაძლებლობა, ამიტომ ამის შევსება ხდებოდა პრაქტიკოსი ტურიზმის სპეციალისტებით. რეალურად, პრაქტიკული კომპონენტით ძლიერი კონტიგენტი იყო შერჩეული.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა განმარტა, რომ აფილირების ზოგადი განმარტება არ ითხოვდა, რომ დოქტორის ხარისხი ჰქონოდა. შესაბამისად, შეეძლოთ უფრო მეტი აფილირებული პროფესორი ჰყოლოდა პროგრამას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რამეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 17:34 საათზე.
სხდომა განახლდა: 17:47 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი

რეკომენდაციები:

1. „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკში დაემატოს ტურიზმის სპეციფიური საგნები;
2. პროგრამის სასწავლო კურსების ,,კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები“ და „ტურიზმის სტატისტიკა და კვლევის მეთოდები“ დახვეწა;
3. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის ხელშეწყობი მექანიზმების გაძლიერება;
4. საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, იყოს როგორც სავალდებულო კომპონენტი;
5. „ტურიზმის სამართლისა და პოლიტიკის“ სილაბუსი დაიხვეწოს და შესწორდეს;
6. საგანმანათლებლო პროგრამაში პერსონალის მოზიდვა აკადემიური პერსონალის კომპონენტის გაძლიერების მიზნით,აფილირებული პროფესორების რაოდენობა გაზრდა;
7. ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტების ჩართვის ხელშეწყობა

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

დებულების“ 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის:
საგანმანათლებლო პროგრამა - „ტურიზმი“
საფეხური - ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ტურიზმის ბაკალავრი (1120)

მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ასევე დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 6 თვე.

3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საჯარო მმართველობის ბაკალავრი 1109
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდა თვითაცილება მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით. საკითხის განხილვაზე თვითაცილება საბჭოს არც ერთ წევრს არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ხერხეულიძემ წარმოადგინა. განმარტა, რომ დაწესებულებაში 2019 წლის 5 ივლისს განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომელიც მიმდინარეობდა კონსტრუქციულ გარემოში. წარმოდგენილი პროგრამა ექსპერტთა დასკვნის მიხედვით ყველა სტანდარტთან მიმართებაში სრულ შესაბამისობაშია. პროგრამა ძალიან კარგადაა დაბალანსებული, მოიცავს ყველა იმ მიმართულებასა და ასპექტს რაც მნიშვნელოვანია საჯარო მმართველობის პროგრამისთვის. ერთგვარი უპირატესობაა, რომ

ფოკუსირებულია საჯარო პოლიტიკის მიმართულებაზე, რომელიც არც თუ ისე ხშირია. ასევე, წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული **რეკომენდაციები:**

- პროგრამის ასარჩევი საგნების ბლოკში დააემატოს პროფესიული პრაქტიკის კურსი, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, სწავლის დამამთავრებელ საფეხურზე, ინტერესის შემთხვევაში ისარგებლონ შრომის ბაზარზე არსებული პრაქტიკის შესაძლებლობებით როგორც საჯარო ორგანიზაციებში, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, გაიარონ პრაქტიკა და მიიღონ სამუშაო გამოცდილება რეალურ ორგანიზაციულ გარემოში. პრაქტიკის ნამდვილობის დადგენისას ასევე, მისი პრაქტიკული ღირებულებისა და შესაბამისობის დადგენის მიზნით, პროფესიული პრაქტიკის კურსი დარეგულირდეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმებით პრაქტიკის ობიექტებთან ან/და პრაქტიკის სილაბუსით, რომელიც ზედმიწევნით განსაზღვრავს პრაქტიკაზე დაშვების, ორგანიზებისა და ანგარიშგების მექნიზმებს.
- რეკომენდებულია, პროგრამის ასარჩევი საგნების ბლოკს დაემატოს საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი, რომელიც კვლევითი და პოლიტიკის დოკუმენტის (Policy Paper) შემუშავებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღებით დაინტერესებულ სტუდენტებს მისცემს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად რელევანტური მეთოდოლოგიის განსაზღვრის, მონაცემთა დამუშავების, ანალიზისა და წერის უნარების განვითარების შესაძლებლობას.

დაწესებულების წარმოადგენელმა აღნიშნა, რომ სტანდარტის ვალდებულებიდან გამომდინარე, პრაქტიკული კომპონენტი უნდა ყოფილიყო განვითარებული. აქვთ 40-მდე მემორანდუმი გაფორმებული, სტუდენტების სურვილის შემთხვევაში არსებობს ამის შესაძლებლობა. ასევე, გარკვეული კურსების ფარგლებში არსებობდა გასვლითი ვიზიტებიც. აქამდე ასე კრედიტის სანაცვლოდ პრაქტიკა არ ყოფილა, მაგრამ პროგრამას მუდმივად ჰქონდა ეს მხედველობაში და ავითარებდა პრაქტიკულ უნარებს. ასევე, საბაკალავრო ნაშრომი შეიძლება კურსის ფორმით არ იყო მოცემული, თუმცა პროექტებისა და Policy paper-ების წერა ისწავლებოდა, ცალკე კომპონენტად არის შეფასებაში შესული. ასევე, ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენციები, შესაბამისად, თუ სტუდენტებს ჰქონდა ამის სურვილი, შეეძლოთ აეყვანათ ხელმძღვანელი და წარედგინათ შესაბამისი კომისიის წინაშე. შეფასების კომპონენტების ანალიზის შესახებ კი ხარისხის დეპარტამენტი უკეთესად ისაუბრებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დოკუმენტში აღწერილი იყო ის, თუ როგორ ხდება იმის შეფასება რამდენმა პროცენტმა დაძლია და მიიღო კრედიტი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მთელი სემესტრის განმავლობაში არ ხდებოდა ამის მიმართ დაკვირვება. ხდება ქვიზებსა და სხვა შეფასებებზე ხდება დაკვირვება, უბრალოდ ეს შეჯამებული სახით არის წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ უკეთესად უნდა გამოკვეთილიყო ეს დოკუმენტებში, თუმცა როგორც ჩანდა არ იყო გამოკვეთილი, რადგან ექსპერტების მხრიდან ხდებოდა ამის შესახებ ხაზგასმა.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ საინტერესო პროგრამა იყო, თუმცა თავის მოსაზრებებს უზიარებდა. ექსპერტებს ეთანხმებოდა პრაქტიკის კომპონენტის შესახებ. ცალკეულ სასწავლო კურსებში უნდა განახლებულიყო ლიტერატურა იმ კურსებში, როგორებიც იყო: „აკადემიური წერა", „სამართლის საფუძვლები", „საქართველოს სახელმწიფო მართვა და საჯარო სექტორის რეფომები". ძირითადად რუსულენოვანი ლიტერატურა ჰქონდათ მითითებული. „კონსტიტუციური სამართალში" უნდა დაზუსტებულიყო სათაური, ეს იყო საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ასევე, ამავე კურსში უკეთესი იქნებოდა, გაზრდილიყო საკონტაქტო საათების რაოდენობა (14 საათია).

დაწესებულების წრმომადგენელმა უპასუხა, რომ აკადემიური წერის ლიტერატურა გამოიყენებოდა ტურაბიანის ქართულენოვან ვერსიას, რომელიც ითარგმნა. ტურაბიანი ყოველ წელს ახლდებოდა და სტუდენტებს ეძლეოდათ ახალი ვერსიის ბმულები, თუმცა ქართული თარგმანები არ ახლდებოდა ასე ხშირად. ამ შემთხვევაში სიახლეს დიდად არ ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან აკადემიური წერის პრინციპები ასე ხშირად არ იცვლებოდა. ადმინისტრაციულ სამართალში იზიარებდნენ პოზიციას. შეიძლება, რომ განახლდეს ლიტერატურა. ისედაც ყოველი სემესტრის წინ ახლდებოდა და ესეც გათვალისწინებული იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რამეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 18:03 საათზე.
სხდომა განახლდა: 18:05საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის:
საგანმანათლებლო პროგრამა - „საჯარო მმართველობა“
საფეხური - ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საჯარო მმართველობის ბაკალავრი (1109)
მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ევროპისმცოდნეობა
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი 1104
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდა თვითაცილება მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით. საკითხის განხილვაზე თვითაცილება საბჭოს არც ერთ წევრს არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარადგინა დასკვნა. განაცხადა, რომ შეიმუშავეს მხოლოდ ორი რეკომენდაცია:

- ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების უმეტესობა სასემინარო მუშაობის დატვირთვას განსაზღვრავს 9 საათის ოდენობით (კვირაში 1 საათზე ნაკლები ოდენობით), რაც, ექსპერტთა შეფასებით, შესაძლებელია მხოლოდ ფორმალური შეფასების განსახორციელებლად არ იყოს საკმარისი. შესაბამისად, რეკომენდაციაა, რომ მოხდეს სასემინარო მუშაობისთვის გამოყოფილი საათების ზრდა და ლექცია/სემინარებს შორის შესაბამისი პროპორციის დაცვა თავად სასწავლო კურსის მიზნებიდან, შედეგებიდან და შეფასების ფორმებიდან გამომდინარე.
- საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსი 5 კრედიტის მოცულობისაა, მაშინ როცა სილაბუსებში მითითებული სასწავლო ლიტერატურა და საგნის ფარგლებში დასაძლევი მასალის ათვისების ხარისხი კურსებს შორის განსხვავდება. შესაბამისად, რეკომენდაციაა, რომ მოხდეს კრედიტების რაოდენობის დიფერენციაცია საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე და ამ მხრივ განისაზღვროს სასწავლო კურსებს შორის გაცილებით რელევანტური საკრედიტო გადანაწილება.

ასევე, განაცხადა, რომ მათ მიერ შემუშავებული რჩევების უმრავლესობა გაზიარებულია დაწესებულების მხრიდან. არის რამდენიმე საგანი, რომელიც ისტორიის დარგში ჯდება. გარკვეული კონცეპტუალური განსხვავებაა დარგებს შორის, რომელიც რჩევების სახით იქნა წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მუდმივად ეყრდნობოდა პროგრამა იმ რეკომენდაციებს, რომელთაც ცენტრი წარმოადგენდა. გასული აკრედიტაციის დროს, მიღებული რეკომენდაცია საბაკალავრო ნაშრომის დამატებასთან დაკავშირებით გავიზიარეთ. ზოგადად პროგრამის განვითარება ხდებოდა პროფესურის, ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული შეფასებისა და სტუდენტების ჩართულობით. კრედიტების რაოდენობასთან დაკავშირებით არ ყოფილა სტუდენტებისა და პროფესორების მხრიდან რაიმე პრობლემა. ასევე, ასაბუთებენ, რომ კურსების შედეგებზე გასვლას პრობლემა

არ ექმნებოდა. თუმცა, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ არ გადახედავდნენ სილაბუსებს და არ მოხდებოდა აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, პრაქტიკასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ თვითშეფასებაში ასახულიყო კონკრეტულად. რადგან საუბრის დროს გამოჩნდა რომ არის პრაქტიკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკას ვერ ახორციელებდა პროგრამა, რადგან საჯარო სექტორში პრაქტიკას არეგულირებდა კანონი. მაშინ როდესაც პირველად დაიწყო პროგრამის განხორციელება და არ არსებობდა ეს კანონი, იმ დროსაც უარი იყო საჯარო სტრუქტურების მხრიდან. რადგან არ იყო შესაბამისი რესურსი სამსახურების მხრიდან. მიუხედავად ამისა, საჯარო სამსახურების გარდა არსებობდა კერძო სექტორი. შესაბამისად, მიმდინარეობდა მუშაობა, რომ შეთავაზებული ყოფილიყო ალტერნატიული შესაძლებლობები. გარკვეული შედეგები მიღწეულ იქნა მეორე სემესტრის დასაწყისისთვის. პროგრამა ჩაბარდა 21 იანვარს და ამის ასახვა არ მოხდა. დასაქმების კუთხით, ერთ-ერთ კომპანიასთან ერთად სტუდენტებს ჩაუტარდებოდათ ტრენინგები, hr-თან გასაუბრების სივის შედგენის და სხვა უნარ-ჩვევების ტრენინგები. გარდა ამისა ჩაბარდა ჟან მონეს პროექტი, სტუდენტები ამ პროექტში ორ პროფესორთან ერთად ჩაერთვებიან. საჯარო სკოლას შესთავაზეს სტუდენტების ლექციები ევროპის დღესთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აქტიური თანამშრომლობა იყო ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრთან. ეძლევათ სტუდენტებს საშუალება ძალიან ბევრი პროექტში ჩაერთონ მოხალისეებად. ძალიან ბევრი რამაა გაწერილი, რომელიც იგეგმება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ თავად პროგრამა ინტერდისციპლინური ხასიათისა იყო. ნამდვილად არსებობდა ბალანსი ისტორიის, პოლიტიკისა და ევროკავშირის ინსტიტუციური პოლიტიკის საკითხებში. თავად აღწერილობაში ნაკლებობა იყო სამართლის მიმართულების მიმართ. რადგან დაზუსტდა ის საგნები, რომლებიც ნაკლებად იყო წარმოდგენილი, იშლებოდა სხვა სკოლების, სხვა კომპონენტების მეშვეობით და იყო თავისუფალი საკრედიტო კომპონენტების სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რამეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 18:18 საათზე.
სხდომა განახლდა: 18:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ევროპისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი

რეკომენდაციები:

1. მოხდეს სასემინარო მუშაობისთვის გამოყოფილი საათების ზრდა და ლექცია/სემინარებს შორის შესაბამისი პროპორციის დაცვა თავად სასწავლო კურსის მიზნებიდან, შედეგებიდან და შეფასების ფორმებიდან გამომდინარე;
2. მოხდეს კრედიტების რაოდენობის დიფერენციაცია საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე და ამ მხრივ განისაზღვროს სასწავლო კურსებს შორის გაცილებით რელევანტური საკრედიტო გადანაწილება.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის:
საგანმანათლებლო პროგრამა - „ევროპისმცოდნეობა"
საფეხური - ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი (1104)
მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ასევე დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 6 თვე.

5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა
პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერია
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინჟინერიისბაკალავრი 04
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდა თვითაცილება მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით. საკითხის განხილვაზე თვითაცილება საბჭოს არც ერთ წევრს არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანი არაბულმა წარადგინა მონიტორინგის შედეგები. განაცხადა, რომ 2019 წლის 31 მაისს შედგა ვიზიტი, შედგა შეხვედრები. აღნიშნავენ, რომ ადრე სახელწოდება იყო „ელექტრონიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიები" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. წარმოადგენენ რეკომენდაციებს:

1. რეკომენდებულია, გამსხვილდეს პროგრამის სწავლის შედეგები, რათა გამარტივდეს მონაცემთა განსაზღვრისა და ანალიზის პროცესი;
2. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები შემუშავდეს;
3. პროგრამის სწავლის შედეგები გაიწეროს ისე, რომ ადვილი იყოს მისი გაზომვა და შეფასება;
4. უახლოეს მომავალში განხორციელდეს დაგეგმილი ცვლილებები საგნში „ლოკალური ქსელის ტექნოლოგია", „მარშრუტიზაცია" და "ფართო არელის ქსელების";
5. დაზუსტდეს სასწავლო კურსის „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურების" სწავლების სემესტრი;
6. ინგლისურის ენის სასწავლო კურსებში რამდენიმე ლექცია მაინც დაეთმოს ტერმინოლოგიისა და დარგობრივი ინგლისური ენის შესწავლას;
7. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვა მოხდეს პროგრამის შეფასებისა და განვითარების ჯგუფში.

ასევე წარმოადგინა რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

1. დაემატოს პროფესიული პრაქტიკა;
2. გაძლიერეს ხელმძღვანელის ინსტიტუტი და დაემატოს თანა-ხელმძღვანელი;
3. გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა მასალების ქართულ ენაზე მასალების მომზადების მხრივ;
4. სტუდენტებს აქვთ სტარტაპ შესაძლებლობები, ეს ძალიან კარგი პრაქტიკაა ტექნიკური განხრით სტუდენტების მომზადებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შინაარსიდან გამომდინარე საუბარი იყო პროგრამის აკრედიტაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაზე. არ ჰქონდათ ისეთი თავისუფლება, რომ უკვე აკრედიტებულ პროგრამაში რაიმე შეცვლილიყო, თუმცა ნელ-ნელა მოხდება ამის ცვლილება. არსებობდა შედეგების დაკორექტირების შესაძლებლობა, თუ საბჭო იტყოდა ამას ეს გაკეთებული იქნებოდა. რაც შეეხებოდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, სექტემბრიდან ყველა პროგრამისთვის გამზადდებოდა მექანიზმი. აკადემიური პერსონალი ნამდვილად ჩართული იყო შეფასებისა და განვითარების პროცესში, იმართებოდა შეხვედრები. რჩევასთან დაკავშირებით, ვერ დაეთანხმებოდა, იმას რომ ხელმძღვანელის ინსტიტუტი არ იყო საკმაოდ ძლიერი. ამ განცდის გაჩენა, ალბათ, განპირობებული იყო იმით, რომ ხელმძღვანელი იმყოფებოდა მივლინებაში და მისი ჩართვაც ვერ მოხერხდა. ლიტერატურის გამოცემის მხარდაჭერის კუთხით მიმდინარეობდა მუშაობა, წახალისება იყო და დაფინანსებაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა ალგორითმების საგანთან დაკავშირებით, რომ ეს უკვე რეალიზებული იყო და ისწავლებოდა მეოთხე სემესტრში. რაც შეეხებოდა მეოთხე პუნქტში მოცემულ რეკომენდაციას ეს ტექნიკური შეცდომა იყო და შემდეგ სასწავლო სემესტრში მოხდება ამის რეალიზება. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სპეციფიკური საგნების ტექნიკური ინგლისურის გარეშე შემეცნება შეუძლებელი იყო. სასწავლო კურსების ფარგლებში ეს ავტომატურად. რა თქმა უნდა, ტერმინოლოგია იყო სპეციფიკური. თუ საჭიროება იქნება რომ დაემატოს, ამაზეც

თანახმაა პროგრამა. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალობის საგნებში ხდებოდა ამის შესწავლა, ამას აუცილებლად განიხილავდნენ და მოხდებოდა მისი დამატება ინგლისური ენის კურსში. აღსანიშნავი იყო, რომ საგნების ნახევარზე მეტი პრაქტიკის კომპონენტს მოიცავდა, თუმცა არც ის იყო გამორიცხული, ცალკე საგნად დამატების შემთხვევაც განეხილათ. ამ საკითხებს დააყენებდნენ საბჭოს წინაშე და განხორციელდებოდა ეს ცვლილებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდევ რამეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 18:38 საათზე.
სხდომა განახლდა: 18:42საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით, გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დაიხურა 18:45 საათზე.

თავჯდომარე:
ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი:
სალომე თოთიბაძე